„ნორჩი დინამოელი" — ასე ჰქვია ბავშვთა ცურვის სკოლას, რომელშიც 400 ლვოველი მოსწავლე მეცადინეობს. ამ სკოლის აღზრდილებმა ბევრჯერ გვიჩვენეს თავიანთი ოსტატობა სსრ კავშირისა და ევროპის ჩემპიონატებში, ოლიმპიურ თამაშებში. მათ შორის არიან: სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. პროკოპენკო, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები ი. გრომაკი, გ. ანდროსოვი, ვ. იაკოვლევა და სხვ.

• • •

სურათზე: ლვოვის ცურვის სკოლის ყველაზე ნორჩი აღსაზრდელები წვრთნის დროს.

ფოტო ბ. კრიშტულისა (ახალი ამბების სააგენტო).

ᲤᲝᲢᲝᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა გადაწყვიტა სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირთან ერთად მოაწყოს მხატვრული ფოტოგრაფიის IV საკავშირო გამოფენა „ფიზკულტურა და სპორტი სსრ კავშირში".

ამ ღონისძიების მიზანია ფიზიკური კულტურისა და სპორტის ფართო პროპაგანდა მხატვრული ფოტოგრაფიის საშუალებით, აგრეთვე, ფოტოხელოვნების ოსტატთა და მოყვარულთა საუკეთესო ნამუშევრების ფართო სარბიელზე გამოტანა.

გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად მიწვეული არიან პროფესიონალი ფოტოკორესპონდენტები და ფოტომოყვარულები, რომლებიც სპორტული თემატიკის გაშუქებაში ოსტატდებიან.

გამოფენილი მასალები უნდა ასახავდნენ ფიზკულტურული მოძრაობის მასობრიობას სსრ კავშირში, საბჭოთა სპორტსმენთა ბრძოლას მაღალი მიღწევებისთვის საკავშირო და მსოფლიო ჩემპიონატებში, ოლიმპიურ თამაშებში.

საუკეთესო ნამუშევრები აღინიშნება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის დიპლომებით, მედლებითა და ფულადი პრემიებით. გამარჯვებულ ავტორთა დასაჯილდოებლად დაწესებულია:

ოქროს 5 მედალი და ფულადი პრემია, თითოეული 150 მანეთის რაოდენობით;

ვერცხლის 7 მედალი და ფულადი პრემია, თითოეული 75 მანეთის რაოდენობით;

ბრინჯაოს 10 მედალი და ფულადი პრემია, თითოეული 50 მანეთის რაოდენობით.

ყველა მონაწილეს გადაეცემა სამახსოვრო სამკერდე ნიშანი.

გამოფენაზე მიიღება ნამუშევრები ზომით 30×40 და 50×60 სმ. მითითებული უნდა იყოს ავტორი, საფოსტო მისამართი, გადაღების დრო და ადგილი. ერთ ავტორს შეუძლია 15 ფოტოსურათი გაგზავნოს.

გამოფენა ტარდება 1969 წლის 1 ოქტომბრიდან 15 დეკემბრამდე მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე.

ყველა ნამუშევარი უნდა გაიგზავნოს მისამართით: მოსკოვი, სკატერტნი შესახვევი, 4. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი, პროპაგანდის განყოფილება. კონვერტზე უნდა გაუკეთდეს აღნიშვნა: „გამოფენისთვის".

ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ლელო

№ 125 (3864)
29 ივნისი, 1969 წ.
კვირა.
ფასი 2 კაპ.

ᲡᲐᲥ. ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 25-Ე ᲬᲔᲚᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ V ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚᲘ...

ᲒᲕᲐᲮᲐᲠᲔᲑᲔᲜ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘ

შაშში სასპარეზოდ საკმაოდ ბევრმა მოთამაშემ მოიყარა თავი. ამიტომ ორგანიზატორებმა სამ-სამი ნახევარფინალი მოაწყვეს როგორც რუსულ, ისე ასუჯრიან შაშში. ამან, რა თქმა უნდა, გაამძაფრა პაექრობა. მით უმეტეს, რომ ფინალში ბრძოლის გაგრძელება მხოლოდ ორ-ორ (ქალებში — სამ) გამარჯვებულს შეეძლო.

ფინალში მართლაც ღირსეულნი გავიდნენ.

რუსული შაშის ფინალში პროფკავშირების სპარტაკიადის ჩემპიონის სახელს ექვსი კაცი ეცილებოდა ერთმანეთს. თითოეულ პარტიას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა და მეტოქენი შეუპოვრად იბრძოდნენ. მხოლოდ ვეტერანმა ოსტატმა პახლაჯიანმა შეძლო დაუმარცხებლად თამაში.

ტურნირში ადგილები (კოეფიციენტთა ცხრილის ჩარევით) ასე განაწილდა: I. ნ. მოლჩანი („სპარტაკი") — 3,5, II. ი. სპესივცევი („ბურევესტნიკი") — 3,5, III. ს. პახლაჯიანი („სპარტაკი") — 3, IV. ა. ჩარგეიშვილი („ბურევესტნიკი") — 2,5, V. თამაზ ბარამიძე („ბურევესტნიკი") — 1,5, VI. ბ. ლოსაბერიძე („შრომითი რეზერვები") — 1.

მოშაშე ქალთა პირველობის ფინალშიც უშეღავათო ბრძოლა გაჩაღდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ყველას აჯობა საქართველოს ორგზის ჩემპიონმა, ქუთაისის პედინსტიტუტის სტუდენტმა ი. ტყაბლაძემ („ბურევესტნიკი") — 6 ქულა. სპარტაკიადის ჩემპიონს 1 ქულით ჩამორჩა გორელი ი. მემარნიშვილი („კოლმეურნე"). III ადგილი ხვდა თელაველ მოსწავლე მ. ბურჯალიანს („კოლმეურნე") — 4,5.

შემდეგ ადგილებზე არიან: IV. ლ. რამაზანოვა („ბურევესტნიკი") — 4, V. ნ. დოლბაია („შრომითი რეზერვები", ფოთი) — 4, VI. ლ. ზოლოტუხინა („ლოკომოტივი") — 3,5, VII. ე. ბეროზაშვილი („განთიადი") — 3, VIII. გ. ვარელჯიანი („სპარტაკი", სოხუმი) — 3, IX. ე. პუხაშვილი („კოლმეურნე") — 2,5.

საინტერესო გამოდგა ასუჯრიანი შაშის პირველობის ფინალისტთა შეჯიბრება. ტურნირის გმირი იყო თბილისის 27-ე საშუალო სკოლის მეექვსეკლასელი, ოსტატობის კანდიდატი ბ. შავერდიანი, რომელიც „ბურევესტნიკის" სახელით თამაშობდა. ყმაწვილმა მოშაშემ ტოლი არავის დაუდო. მან საქართველოს ჩემპიონს, ოსტატ თენგიზ ბარამიძესაც („განთიადი") მოუგო, მაგრამ ფინიშის ხაზი მასთან ერთად გადაკვეთა. თითოეულმა 3,5 ქულა მოაგროვა. ეს მოხდა იმიტომ, რომ შავერდიანმა სამი შეხვედრა ყაიმით დაასრულა, მაშინ, როცა ბარამიძემ ამდენივე პარტია მოიგო. ჩემპიონის სახელი მაინც ნორჩ მოშაშეს მიენიჭა: კოეფიციენტთა ცხრილით მან უკეთესი მაჩვენებლები აღმოაჩინა.

III ადგილი ხვდა ვ. ინწკირველს („ბურევესტნიკი") — 3, IV — ოსტატ ს. საგიევს („განთიადი") — 2, V — ს. თომაშვილს („ბურევესტნიკი") — 2, VI — გ. ბარამიძეს („განთიადი") — 1.

პირველობამ ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ ჩვენში მოშაშეთა საიმედო ძალა იზრდება. ახალგაზრდები უკვე ავიწროებენ გამოცდილ მოშაშეებს, არ ეპუებიან მათ. ამ მხრივ აღსანიშნავია თელაველი ბურჯალიანის წინსვლა. ეს გოგონა უდავოდ ნიჭიერი და პერსპექტიული მოშაშეა. აუცილებელია მასთან სისტემატური მუშაობა. დიდი მომავალი აქვს 13 წლის შავერდიანსაც.

შაშის ფედერაციამ და სპორტსაზოგადოებათა მესვეურებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ახალგაზრდებს, ხშირად გაუმართონ შეჯიბრებები ოსტატების მონაწილეობით.

Თ. ᲜᲘᲜᲝᲨᲕᲘᲚᲘ.

* * *

24
16
ЗОЛОТУХИНА Л.
ПУХАШВИЛИ

სურათზე: მოშაშეთა სარბიელი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

5:1, 2:1

გუშინწინ გაიმართა ფეხბურთში სსრ კავშირის თასის გათამაშების მერვედფინალური მატჩები.

კიევში სსრ კავშირის ჩემპიონმა, ადგილობრივმა „დინამომ" შავი დღე დააყენა ყარაგანდის „შახტიორს" — 5:1. გოლები გაიტანეს სერებრიანიკოვმა, მუნტიანმა, პუზაჩმა და ბოგოვიკმა (2). დამარცხებულთაგან — პავლოვმა.

მოსკოვში ადგილობრივმა დინამოელებმა დაამარცხეს ვლადივოსტოკის „ლუჩი" — 2:1 მასპინძელთაგან გოლები გაიტანეს ლარინმა, სმირნოვმა, სტუმართაგან — ოსენინმა.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲡᲞᲐᲡᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲔᲢᲠᲝᲡᲘᲐᲜᲡ — ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲘᲒᲔᲚᲔᲑᲘ

[illegible]

● **ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ**, 27 ივნისი. ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონს, დიდოსტატ ბ. სპასკის დღეს გადაეცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის საპატიო სიგელი, რომლითაც იგი დაჯილდოვდა ბრწყინვალე სპორტული მიღწევებისთვის. კომიტეტის საპატიო სიგელით დაჯილდოებულია აგრეთვე მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, დიდოსტატი ტ. პეტროსიანი დაბადების 40 წლისთავის აღსანიშნავად და მრავალი წლის მაღალი სპორტული შედეგებისთვის.

● **ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ**, 27 ივნისი. მინსკის გზატკეცილზე გათამაშდა ველოსპორტში სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლები: 15 კილომეტრზე ქალთა ინდივიდუალური რბოლა მოიგო ხარკოველმა ლ. ზადოროჟნაიამ, ხოლო 40 კილომეტრზე ვაჟებში ყველას აჯობა ლენინგრადელმა ვ. ნელიუბინმა. 27 წლის ზადოროჟნაია მეცხრედ გახდა უმაღლესი ტიტულის მფლობელი, ხოლო 22 წლის ნელიუბინი პირველად დაეუფლა ოქროს მედალს.

ასე არ შეიძლება გაგრძელდეს

საქართველოს მოფარიკავეთა პირადგუნდური პირველობა ერთგვარად შერჩევითი ხასიათისაც იყო სსრ კავშირის ჩემპიონატის წინ და ამიტომ ყოველი ორთაბრძოლა მეტად დაძაბულად წარიმართა.

როცა მაყურებელმა ესპადრონისტთა შორის ნ. ასათიანი და მ. სახვაძე ვერ შენიშნა, ყველაფერი ნათელი გახდა. რესპუბლიკის ჩემპიონის სახელისთვის ბრძოლა გამოცდილი მოფარიკავეების გ. ლორთქიფანიძის, დ. შარაშენიძისა და ა. გოგელიას შეხვედრებს უნდა გადაეწყვიტა. ასეც მოხდა.

ამ დღეს სპორტულმა იღბალმა გოგელიას გაუჭრა და მან I ადგილი დაიკავა. ლორთქიფანიძე მეორე იყო. შარაშენიძე ადრე გამოეთიშა ბრძოლას და ნახევარფინალამდეც ვერ მიაღწია.

მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა ამ სპორტსმენზე. მახსოვს შარაშენიძის პირველი ნაბიჯები საფარიკაო ბილიკზე. ახალგაზრდა სპორტსმენი განსაკუთრებული მონდომებით ვარჯიშობდა და შედეგმაც არ დააყოვნა: შედარებით მოკლე დროში დიმიტრი ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი მოწინავე მოფარიკავე გახდა. გავიხსენოთ თუნდაც ის ამბავი, რომ იგი სამი წლის განმავლობაში იცავდა ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას ჭაბუკ მოფარიკავეთა მსოფლიო პირველობებში. წლევანდელ მსოფლიო პირველობაში შარაშენიძემ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ცხადია, ამ წარმატებამ გაახარა მისი სპორტული ნიჭის თაყვანისმცემლები. ამიტომ ისინი განსაკუთრებული ყურადღებით აკვირდებოდნენ შარაშენიძის გამოსვლას რესპუბლიკის პირველობაშიც. წინასწარ უნდა მოგახსენოთ, რომ შარაშენიძემ მწარედ გაუცრუა იმედები გულშემატკივრებს.

მიზეზი? სამწუხაროდ, საერთაშორისო ასპარეზობებში მოპოვებულმა წარმატებებმა ნიჭიერ ახალგაზრდა სპორტსმენს თავბრუ დაახვია, დიდი წარმოდგენა შეუქმნა საკუთარ თავზე. ამის კიდევ ერთი ნათელი გამოხატულება იყო შარაშენიძის უპასუხისმგებლო გამოსვლა ამ შეჯიბრებაში. მან ზედიზედ წააგო შეხვედრები სუსტ მეტოქეებთან. აქან კი შეჯიბრებას ინტერესი დაუკარგა. მინდა ახალგაზრდა კოლეგას შევახსენო მოფარიკავეთა ერთი გამოთქმა: „გახსოვდეს, რომ სპორტის კეთილშობილური სახეობის წარმომადგენელი ხარ".

დაშნით მოფარიკავეთა შეხვედრები ტრადიციულად საინტერესოდ ტარდება. ამჯერადაც ასე მოხდა. განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი მოფარიკავის შ. სულამანიძის გამოსვლამ. ამ რამდენიმე თვის წინ შოთა დაქორწინდა და ცოტა ხნით მოსწყდა როგორც ვარჯიშს, ისე შეჯიბრებებს. ამიტომ ახლა იგი ჩვეულ ფორმაში არ იყო, მაგრამ მიზანს მაინც მიაღწია — კვლავ გახდა ჩვენი რესპუბლიკის ჩემპიონი. II ადგილზე გავიდა ნიჭიერი ახალგაზრდა მოფარიკავე გ. ზურაბაშვილი, რომელმაც ბოლო დროს საგრძნობლად აიმაღლა ფარიკაობის კლასი. ლამაზად, ტექნიკურად იბრძოდა III ადგილზე გასული ზ. ცქიტიშვილიც.

რაპირისტ ქალთა შორის, როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა სსრ კავშირის ნაკრები გუნდის წევრმა რ. კეკელიამ, თუმცა მას ზედმიწევნით ძნელი ბრძოლების გადატანა მოუხდა. მეორე იყო გამოცდილი მოფარიკავე მ. კობრეიძე, მესამე — ნ. დობორჯგინიძე.

რაპირისტ ვაჟებში ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა ზ. მათითაიშვილმა, რომელმაც ჩამოიტოვა საკმაოდ გამოცდილი მოფარიკავე ა. ბობოხიძე. III ადგილზეა რ. დევიძე.

მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა შეჯიბრების ორგანიზაციაზე, აგრეთვე, რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონების მოფარიკავეებზე. საქმე ისაა, რომ შეჯიბრება ფარიკაობაში ამ ბოლო წლებში მეტად არაორგანიზებულად ტარდება. ტურნირებს არ ჰყავს კვალიფიციური მსაჯები. ასპარეზობას სჯიან თვითონ მონაწილეები, რაც ყოვლად დაუშვებელია. არ ეწყობა შეჯიბრების გახსნისა და დახურვის ცერემონიალები. ამის შესახებ ამას წინათაც გვქონდა საუბარი ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, მაგრამ რატომღაც ამას შედეგი არ მოჰყოლია. ასე კი უკვე აღარ შეიძლება გაგრძელდეს.

რაც შეეხება საქართველოს რაიონებისა და ქალაქების წარმომადგენლებს, ამ ბოლო ხანებში მათ რესპუბლიკის ნაკრები გუნდისთვის არც ერთი მოფარიკავე არ მიუციათ. ან ნაკრების რომელ წევრზე შეიძლება ლაპარაკი, როცა მათმა წარმომადგენლებმა უმეტეს შემთხვევაში ფარიკაობის ანბანიც არ იციან. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენენ მხოლოდ რუსთავის მოფარიკავეები, სადაც ახალგაზრდა მწვრთნელი გ. დავითიანი მუშაობს.

ვფიქრობთ, ამ საკითხებს განიხილავს ფარიკაობის ფედერაცია და იზრუნებს ნაკლოვანებათა გამოსწორებისთვის.

ა. გოგელია,
სპორტის ოსტატი.

ეს იყო და ეს...

ბევრჯერ ითქვა და დაიწერა, რომ სპორტსაზოგადოებათა საბჭოების უმეტესობა სათანადოდ არ ზრუნავს მძლეოსნობის განვითარებისთვის. ამ ნაკლის გამოსწორებისთვის მათ კიდეც მიუთითეს, მაგრამ ნაყოფი რატომღაც ჯერჯერობით არ ჩანს. ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა იუნიორთა საქალაქო ტურნირმა, რომელიც ამას წინათ თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართა.

შეჯიბრებაში მონაწილეობას გულისხმიერად მხოლოდ „ბურევესტნიკისა" და „სპარტაკის" საბჭოები მოეკიდნენ — ყველაზე მეტი სპორტსმენი გამოიყვანეს. მათ შესაბამისად 263 და 110,5 ქულა დააგროვეს და I და II ადგილები დაისაკუთრეს.

მესამე პრიზიორი — „ლოკომოტივი" სულ 22 ქულას დასჯერდა.

უარესი მაჩვენებლები ჰქონდათ „დინამოს" (15) და „განთიადს" (8). „განთიადში" თავი იმით იმართლეს, იუნიორები ჩვენივე სპარტაკიადაში გამოდიოდნენო (მართლაც, „განთიადის" რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ტურნირი და იუნიორთა საქალაქო შეჯიბრება ერთდროულად ტარდებოდა).

შეჯიბრებაში მონაწილე 62 მძლეოსნიდან (18 ქალი და 44 ვაჟი) 12 უკონკურსოდ ცდიდა ძალას.

მონაწილეთა სიმცირის გამო ზოგიერთ სახეობაში გამარჯვებისთვის იბრძოდნენ მხოლოდ ისინი, ვინც უკონკურსოდ გამოდიოდა. მაგალითად, ასე მოხდა 100 მეტრზე მორბენალ ქალთა შეჯიბრებაში. სიმაღლეზე ხტომაში ქალებიდან მხოლოდ ლ. ვორონკოვა („ბურევესტნიკი") გამოვიდა. ადრე იგი მხატვრული ტანვარჯიშით იყო გატაცებული, პირველთანრიგოსანი ოსტატობისთვის ემზადებოდა, მაგრამ შემდეგ მწვრთნელ ა. მჭედლიშვილის რჩევით მძლეოსნობაში დაიწყო ვარჯიში და სულ მალე ხუთჭიდში I თანრიგიც შეასრულა. ამჯერად იგი 145 სმ სიმაღლის დაძლევით დაკმაყოფილდა. 2-2 სპორტსმენი ასპარეზობდა ქალთა 400 მეტრზე რბენასა და ბირთვის კვრაში, ვაჟთა 400 მეტრზე თარჯრბენში, 10 კმ-ზე სპორტულ სიარულში, ჭოკით ხტომაში, ბირთვის კვრასა და შუბის ტყორცნაში.

ერთადერთი, ვინც ამ შეჯიბრებაში თავი გამოიჩინა, ვ. ქუთათელაძე იყო. 100 მეტრზე (11,8) და 200 მეტრზე (24,9) რბენაში მან საქართველოში წლევანდელი სეზონის საუკეთესო შედეგები აჩვენა.

დ. სუბოტინამ ორივე დისტანციაზე I თანრიგის ნორმატივი შეასრულა.

I თანრიგის ნორმატივებს შესწვდნენ, აგრეთვე, სიგრძეზე ხტომაში — ნ. ლომიძე („ბურევესტნიკი") — 570 და უკონკურსოდ მოასპარეზე გ. ისმაილოვა — 558 სმ; ვაჟებიდან: 100 მეტრზე რბენაში — ო. ბექაური („ბურევესტნიკი") — 10,7 და ვ. გოლეთიანი („დინამო") — 11,0, 110 მეტრზე თარჯრბენში — ვ. ზაბოლოტნი („დინამო") — 15,4 და ზ. თავბერიძე („ბურევესტნიკი") — 15,6, აგრეთვე, სიმაღლეზე მხტომელები ო. ჩახუნაშვილი და ვ. უზმორსკი, რომლებმაც 195 სმ გადალახეს.

ეს იყო და ეს. სხვები მეორე ან უფრო დაბალი თანრიგების შედეგებით დაკმაყოფილდნენ.

ო. ივდოშვილი.

კოლმეურნე სპორტსმენები

ლაგოდეხი

სამ თვეზე მეტს გაგრძელდა „კოლმეურნის" რაისაბჭოს სპარტაკიადა შვიდ სახეობაში. ასპარეზობდა რაიონის 15 ფიზკულტურული კოლექტივის 4.423 სპორტსმენი. საერთო გუნდური I ადგილი დაიკავეს ლაგოდეხის მ. კალინინის სახელობის კოლმეურნეობის გუნდის წევრებმა (ინსტრუქტორ-მეთოდისტი — სპორტის ოსტატი ა. ბერიშვილი). II ადგილზე არიან ცოდნისკარელები, III — ნინიგორელები.

ფ. კვირიკაშვილი.

ჩვენს ძმურ რესპუბლიკებში

კიდევ ერთი სპორტული ფაკულტეტი

ჩუვაშეთის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის ახალმა ფაკულტეტმა უკვე გამოაცხადა პირველი ნაკადის მიღება. აქ მოამზადებენ საშუალო სკოლების ფიზკულტურის მასწავლებლებს. ფაკულტეტს სათავეში ჩაუდგა ცნობილი ჩუვაში სპორტსმენი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, სსრ კავშირის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი მარათონში ა. ულანგინი. მასწავლებლებად მუშაობენ სპორტის ოსტატები, ოსტატობის კანდიდატები, პირველთანრიგოსნები, რომელთაც აქვთ მწვრთნელობისა და მეთოდური მუშაობის გამოცდილება. ქალაქის პარკის ახლოს აიგება ინსტიტუტის სპორტული კომპლექსი რამდენიმე დარბაზითა და ზამთრის საცურაო აუზით.

ფაკულტეტი ჯერ მხოლოდ იქმნება, მაგრამ რამდენიმე დღის წინ ინსტიტუტში უკვე შედგა პირველი დიპლომის დაცვა ფიზიკურ კულტურაში. სოფლის მასწავლებელმა ვ. შადირიაკოვმა, წარსულში ჩუვაშეთის ჩემპიონმა სიმაღლეზე ხტომაში, ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილება დაამთავრა. მან ა. ულანგინის ხელმძღვანელობით ჩაატარა გამოკვლევა ჩუვაშეთის სოფლის სკოლების მოსწავლეთა ჯანმრთელობაზე ფიზკულტურული მეცადინეობის გავლენის შესახებ.

ჩუვაშეთის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტურ ოჯახს კარგი სპორტული ტრადიციები აქვს. ამ სასწავლებლის გუნდებმა ოცჯერ გაიმარჯვეს რესპუბლიკის ყველაზე პოპულარულ მძლეოსნურ შეჯიბრებაში — გადარბენაში გაზეთ „სოვეტსკაია ჩუვაშიას" პრიზზე. ინსტიტუტის აღზრდილთა შორის არიან საერთაშორისო ოსტატი ჭადრაკში ვ. სერგიევსკი, ათი სპორტის ოსტატი, მათ შორის, ცნობილი საბჭოთა სტაიერი ნ. პუკლაკოვი, ოსტატობის კანდიდატები და პირველთანრიგოსნები.

ა. სტუდენეცკი.
(საკდესის კორ.).

ჩებოქსარი.

წლეულს სსრ კავშირის ჩემპიონობა საავტომობილო საგზატკეცილო-წრიულ რბოლაში მოიპოვა ტალინელმა სპორტის ოსტატმა მ. ლაივმა. „ესტონია-14-"-ით მან მოიგო ასპარეზობა პირველი ფორმულის მანქანების კლასში.

სურათზე: ქვეყნის ჩემპიონი რბოლის ტრასაზე.

ფოტო ი. ზმიტროვიჩისა (საკდესი).



რეპეტიცია და მოლოდინი

მოსკოვი, 27 ივნისი. დღეს ხიმკის წყალსაცავზე დაიწყო ნიჩბოსანთა სამდღიანი საკავშირო შეჯიბრება ბაიდარებითა და კანოებით. მზე ზაფხულისთვის უჩვეულოდ „მოკრძალებულად" ანათებდა. 116 სპორტსმენი ებრძოდა გვერდის ქარს და საკმაოდ მაღალ ტალღებს. ხიმკის სტარტები შესარჩევია ევროპის ჩემპიონატის წინ, რომელიც პირველად ჩატარდება სსრ კავშირში (13-17 აგვისტო) ამავე ტრასებზე. საბჭოთა ნაკრების მაისურს მხოლოდ 47 ნიჩბოსანი ჩაიცვამს. ამიტომ იყო, რომ პირველი სტარტებიდანვე ახალგაზრდებმა შეუპოვარ ბრძოლაში გამოიწვიეს სახელოვანი სპორტსმენები და უკვე დატოვეს ზოგიერთი მათგანი უფინალოდ.

500 მეტრზე ერთადგილიანი ბაიდარების შეჯიბრების შემდეგ „ნიჩბები დააწყვეს" ნაკრების ძველი შემადგენლობის წევრებმა, 30 წლის ნოვგოროდელმა ი. კაბანოვმა, 29 წლის ალმაათელმა ვ. ობრაზცოვმა, 20 წლის ბრესტელმა ნელი ვაკულომ; 1000 მეტრზე კანოებით ასპარეზობის შემდეგ — 26 წლის თბილისელმა ჯ. ხოშებაევმა... განსაკუთრებით დიდი მოწონება ხვდათ ჯერ კიდევ სრულიად უცნობ სპორტსმენს, 20 წლის ლ. ბერესნიოვას (უსტ-კამენოგორსკი) და 23 წლის მოსკოველს გ. კირიანოვას. მათ ყველაზე სწრაფად დაფარეს 500-მეტრიანი დისტანცია ერთადგილიანი ბაიდარებით.

თავიანთი მაღალი კლასი დაამტკიცეს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა ა. შაპარენკომ (ერთადგილიანი ბაიდარა, 1000 მ), სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონმა ნ. პროკუპეცმა (ერთადგილიანი კანოე, 1000 მ), რომელთაც დამაჯერებლად მოიპოვეს ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება.

უკვე ცნობილია, რომ ევროპის პირველობაში ვერ გამოვლენ ოლიმპიური ჩემპიონი ლ. პინაევა (იგი მალე დედა გახდება), მსოფლიო ჩემპიონი ა. სერედინა, რომელმაც მწვრთნელად დაიწყო მუშაობა, და მსოფლიო ჩემპიონი მ. შუბინა, რომელმაც დატოვა დიდი სპორტი. სხვათა შორის, უკვე 16 ქვეყნის ფედერაციებმა გამოთქვეს მოსკოვში გუნდების გამოგზავნის სურვილი. განაცხადების წარმოდგენის ვადა 10 ივლისს მთავრდება.

მაშ ასე, ხიმკის წყალსაცავი რეპეტიციას ატარებს და ელოდება. ელოდება ევროპის ჩემპიონატსა და მაყურებლებს, რომლებსაც კონტინენტის უძლიერეს ნიჩბოსანთა ასპარეზობის სანახავად ბილეთები არ დასჭირდებათ — დასწრება თავისუფალი იქნება.

ი. სმირნოვი.

სპორტული გორი

საჭიდაო სარბიელზე

დიდი ინტერესი გამოიწვია ქალაქის პირადმა პირველობამ ახალგაზრდებს შორის ქართულ ჭიდაობაში. ქებას იმსახურებს ბამბეულის კომბინატის კოლექტივი, რომელმაც 13 ათლეტი გამოიყვანა. ფეიქართაგან ჩემპიონები გახდნენ: ა. ქარსანიშვილი, ს. სულთანიშვილი, თ. ჯანანაშვილი, ე. ცერცვაძე და გ. სახიევი. I ადგილები დაისაკუთრეს, აგრეთვე, პედაგოგიური ინსტიტუტის წარმომადგენლებმა ჯ. ხორბალაძემ, შ. ჩოჩიშვილმა და ნ. ექვთიმიშვილმა.

„სოფლის ცხოვრების" პრიზზე

ამ საპატიო ჯილდოსთვის თვენახევრის მანძილზე ფეხბურთელთა 18 კოლექტივი იბრძოდა. გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ მეჯვრისხევისა და ხიდისთავის გუნდები. ანგარიშით 6:5 გაიმარჯვეს ხიდისთაველებმა. მათვე დაისაკუთრეს „კოლმეურნის" რაისაბჭოს გარდამავალი თასი.

კოლმეურნეთა სპარტაკიადა

ასობით ჭაბუკი და ქალიშვილი მონაწილეობს „კოლმეურნის" რაისაბჭოს სპარტაკიადაში, რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს ეძღვნება. დასრულდა შეჯიბრებები ქართულ ჭიდაობაში, ხელბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკსა და შაშში. ასპარეზობაში თავი გამოიჩინეს ახალგაზრდებმა. 29 სპორტსმენმა პირველად შეასრულა II თანრიგის ნორმატივი, ხოლო 61-მა — III თანრიგისა.

„ოლიმპიური გაზაფხული"

რაიონის საშუალო სკოლების 12 გუნდი მონაწილეობდა მძლეოსნურ შეჯიბრებაში — „ოლიმპიურ გაზაფხულში". ჩემპიონის წოდება წილად ხვდათ მეჯვრისხეველ მოსწავლეებს. II-III ადგილებზე გავიდნენ ხიდისთავისა და შინდისის გუნდები.

მეჯვრისხეველებმა იმარჯვეს

„კოლმეურნის" რაისაბჭოს გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში ადგილობრივ სპორტის მოყვარულთა ყურადღების ცენტრში იყო. ფინალში ყველა მეტოქე ადვილად დაამარცხა და ჩემპიონის წოდება მოიპოვა მეჯვრისხევის ფალავანთა ნაკრებმა.

ი. თევდორაშვილი.
(ჩვენი კორ.).

[illegible]

ლენინის ნაკვალევზე

ზამთრის ერთ ყინვიან დილით მოსკოველებმა გულთბილად დაულოცეს გზა მოთხილამურეთა გუნდს „მეტელიცას“. სპორტსმენი ქალების მარშრუტი საბჭოთა კავშირისა და ფინეთის ტერიტორიაზე გადიოდა. ხუთმა მოსკოველმა მოთხილამურემ ეს ლაშქრობა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიუძღვნა.

საბჭოთა სპორტსმენებმა 2611 კილომეტრი დაფარეს ძლიერ ყინვაში, ქარბუქში, ხშირად დაუსახლებელ ადგილებში უხდებოდათ გავლა. მთელ ამ გზაზე მათთან ერთად იყო დოკუმენტური ფილმების ცენტრალური სტუდიის ოპერატორი ლ. მიხაილოვი. და აი, ახლახან რეჟისორმა გ. კონოვალოვმა დაამთავრა ფილმი „ნათხილამურევზე — „მეტელიცა“. ფილმი გვაცნობს მოთხილამურეთა მთელ მარშრუტს. საბჭოთა ქალიშვილები ხვდებოდნენ იმ ხალხს, ვინც ლენინს იცნობდა, სწავლობდა მის ცხოვრებას და მოღვაწეობას სპორტსმენები იყვნენ ფინეთის ქალაქებში სადაც სათუთად ინახავენ ლენინის ხსოვნას.

ჰელსინკი... ეკრანზეა სახლი, სადაც 1917 წლის ზაფხულში იმალებოდა ლენინი ქალაქის პოლიციის მაშინდელ უფროსთან, სოციალ-დემოკრატ გ. როვიოსთან.

ფილმის ავტორები გვიამბობენ ფინეთის დემოკრატიული მოძრაობის ვეტერანზე სილვია კიულიკი კილპიზე. ბოლო 20 წლის მანძილზე იგი სწავლობდა ლენინის ცხოვრების ამსახველ საბუთებს. მის კავშირს ფინეთთან და ფინელ ხალხთან. კილპის წიგნი „ლენინი და ფინელები“ უკვე მეორედ გამოიცა.

ქალიშვილებს ბევრი საინტერესო, დაუვიწყარი შეხვედრა ჰქონდათ. განსაკუთრებით დაამახსოვრდათ შეხვედრა 74 წლის რკინიგზელთან კაარლო ბრუსილასთან, რომელმაც ლენინი 1917 წლის გაზაფხულზე ნახა.

ფინეთში სათუთად უვლიან ლენინის მემორიალურ ადგილებს. „მეტელიცასთან“ შეხვედრის დროს ეს ხაზგასმით აღნიშნა ფინეთის პრეზიდენტმა უ. კეკონენმა. პრეზიდენტი სპორტის დიდი მოყვარულია. მან თქვა, რომ მამაც მოთხილამურე ქალთა ეს გარბენი, გარდა სპორტული მიღწევისა, თავისებური რეკორდიცაა ფინეთისა და სსრ კავშირის ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცების საქმეში.

ტურკუში საბჭოთა სპორტსმენებმა მღელვარებით შეაღეს იმ სახლის კარი, სადაც 1907 წლის დეკემბრის ღამით საიდუმლოდ ჩავიდა ლენინი, რათა შემდეგ ფინეთის ყურის ყინულზე სახიფათო გზას დასდგომოდა. ემიგრაციაში მიმავალ ლენინს პარაინენი უნდა გაევლო. ჩვენ ვნახავთ სახლს, რომელშიც იყო დიდი ბელადი იმ კუნძულზე მისვლამდე, სადაც იგი გემში ჩაჯდა.

მათ შორის, ვინც ლენინს ამ სახიფათო მოგზაურობაში ეხმარებოდა, იყვნენ ფინელი სოციალ-დემოკრატები, მეთევზეები, ჟურნალისტები და... პოლიციელიც კი. ფინეთ — სსრ კავშირის საზოგადოების ადგილობრივმა განყოფილებამ და ქალაქ პარაინენის მერიამ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად მოაწყვეს 50-კილომეტრიანი სათხილამურო ლაშქრობა იმ ადგილებში, სადაც ლენინმა გაიარა 1907 წლის დეკემბერში. ტამპერეში საბჭოთა ქალიშვილებმა ნახეს ვ. ი. ლენინის სახლ-მუზეუმი, რომელიც 1946 წელსაა გახსნილი. ეს ლენინის პირველი მუზეუმია საზღვარგარეთ. მუზეუმის დირექტორი ა. ლააკსო დიდი ბელადის ცხოვრებისა და მოღვაწეობის დაუცხრომელი ენთუზიასტი და პროპაგანდისტია. მან საბჭოთა სპორტსმენებს გააცნო ექსპოზიცია „ლენინი და ფინელები“, აჩვენა მემანქანე ბლუმკვისტის ოთახის მორთულობა, სადაც ლენინი 1917 წელს ცხოვრობდა.

ეს ძნელი გადარბენა 33 დღეს გრძელდებოდა. ფინიში ტორნიოში მოეწყო. ბოლო 10 კილომეტრი გუნდმა იარა წითელი ალმებით მონიშნულ გზაზე, რომლებსაც ეწერა. „ლენინინ ლატუ“ — ლენინის ნათხილამურევი.

ამ ფილმის ნახვით მაყურებელი ბევრ საინტერესოს შეიტყობს.

გ. რატომსკაია.

მოსკოვი.

* * *

სურათებზე: კადრები ფილმიდან — „მეტელიცა“; შეხვედრა კ. ბრუსილასთან; ტამპერეს მუზეუმში; საბჭოთა მოთხილამურეები მიიღო ფინეთის პრეზიდენტმა უ. კეკონენმა.

წერილების მიმოხილვა

ვისაც არ უყვარს სპორტი, არ უყვარს ახალგაზრდობა!

ამ მოურიდებელი, მკვახე სათაურის უფლებას გვაძლევს ის წერილები, რომლებიც საკმაო რაოდენობით შემოდის რედაქციაში. მათი შინაარსი ერთია: ახალგაზრდობას სპორტით მეცადინეობა სწადია, სურს თავისუფალ დროს ითამაშოს ფეხბურთი, ფრენბურთი, იჭიდაოს, იცუროს, სცადოს ძალა რბენასა თუ ხტომაში. მაგრამ სად? სამისო ადგილი, თუნდაც მარტივი ტიპის, საკუთარი ხელით გასწორებული და გაკეთებული მოედნები და საასპარეზოები არაა.

აი, ერთ-ერთი ასეთი წერილი. მას ხელს აწერენ **სოფელ ტაბახმელის** ახალგაზრდები: **შალვა ყაზარიანცი, ტყუპი ძმები ოთარ და ჯემალ იაშალაშვილები, ვაჟა დემეტრაშვილი, ბიჭიკო ხიზამბარელი, ფირუზ სარიბეგოვი, ვასილ ყურაშვილი, ოთარ იაშალაშვილი, ელგუჯა შერმაზანაშვილი, ვალერიან შერმაზანაშვილი, რომან თათელაშვილი, მალხაზ შერმაზანაშვილი, ვაჟა იაშალაშვილი, ემზარ შერმაზანაშვილი, მიხეილ იაშალაშვილი** და ბევრი სხვა.

გესმით? ბევრი სხვა, ე. ი. მთელი სოფლის ახალგაზრდობა!

რა უნდათ ამ ხალხმრავალი პეტიციის ავტორებს? ბევრი არაფერი:

> „ჩვენი თხოვნა შემდეგში მდგომარეობს: სოფლის ახალგაზრდებს გვიტაცებს სპორტი, განსაკუთრებით, ფეხბურთი, კალათბურთი, ჭიდაობა, მაგრამ სად ვივარჯიშოთ? მეურნეობის თავმჯდომარემ ი. ქოროღლიშვილმა გამოგვიყო საჭირო ადგილი, მაგრამ მას ხომ კეთილმოწყობა სჭირდება? ჩვენ შეგვეძლია შავი სამუშაოები გაგვეწიოთ, ბაზის აგებას კი მარტო ეს არ ეყოფა. ამ ბაზის აშენება შეუძლია ტაბახმელის ბიოლოგიურ კომბინატს, რომლის სპორტსმენებს რაიონულ შეჯიბრებებში უწევთ ხოლმე გამოსვლა, მაგრამ აქაურმა ხელმძღვანელებმა დღემდე ვერ მოიცალეს საამისოდ“.

ნუთუ სოფლის თავკაცებს არ აინტერესებთ ჰქონდეთ ხეირიანი სპორტული ბაზა? ადგილი გამოუყვიათ, ახალგაზრდობა თავის ძალას არ დაიშურებს. რაღა დარჩა? უფროსების მხარდაჭერა და დახმარება.

ან, მოვიყვანთ ასეთ წერილს:

> „გაზეთ „ლელოს“ რედაქტორს. ჩვენ საჩხერიდან გწერთ ენგელსის, ბენდელიანისა და რუსთაველის ქუჩების ბავშვთა კოლექტივი. ჩვენი ქუჩები ახლოს არის ბაჯითისა და სხვიტორის კოლმეურნეობათა ტერიტორიებთან. ჩვენ ფეხბურთის მოედანი არა გვქონდა, ამიტომ ვისარგებლეთ სხვიტორის კოლმეურნეობის ადგილით, მხოლოდ, ისეთი ადგილით, რომელიც კოლმეურნეობისათვის უმოსავლო იყო. მოვასწორეთ და ფეხბურთის მოედანი გავაკეთეთ. მაგრამ კოლმეურნეობამ იგი დაგვიხნა. ასე მოხდა ბაჯითის კოლმეურნეობის ადგილზეც, სადაც ახლა არავითარი მოსავალი არ მოდის.
>
> ა. წ. გაზაფხულზე სხვიტორის კოლმეურნეობის ტერიტორიაზე, სადაც წყალი დგებოდა და ჭაობიანი ადგილი იყო, ენგელსის, ბენდელიანისა და რუსთაველის ქუჩების ბავშვთა კოლექტივმა არხები გავჭერით და წყალი დავაშრეთ. ადგილი მოვასწორეთ, დავხაზეთ ფეხბურთის მოედანი, ჩავსვით ძელები და თითქმის ყოველ საღამოს ვთამაშობდით. მოედანზე არ ვუშვებდით ისეთ მოსწავლეებს, რომლებიც სწავლაში ჩამორჩებოდნენ, ამას გარდა, ვეხმარებოდით კოლმეურნეობას. ერთხელ, როდესაც მოედანზე არ ვიყავით, ერთ კოლმეურნეს ძელები ამოუთხრია. ამის შემდეგ მოედანზე აღარ გვიშვებენ. გვეკუთვნის თუ არა ჩვენი ნაოფლარი ადგილი?!
>
> **ჩვენი მისამართი: ქ. საჩხერე. ენგელსის ქ. № 70. ვალერიან გელბახიანი“.**

რა კომენტარი სჭირდება ამ წერილს? სხვიტორი საქართველოს საამაყო ადგილია — დიდი აკაკის სამშობლო. აქ საგანგებო გულისყურით უნდა ეკიდებოდნენ ასეთ ამბებს, — პრესტიჟის ამბავია! ბავშვებს გარკვეული სამელიორაციო სამუშაოებიც კი უწარმოებიათ, ჭაობი მოუსპიათ; უკაცურ ადგილზე სიცოცხლე შეუტანიათ, საბოლოოდ კი?..

ანალოგიური წერილი მივიღეთ **გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყიდან,** რომელსაც ხელს აწერენ გაღმა უბნის ახალგაზრდები.

ამ სოფლის მახლობლად, საცხოვრებელი სახლებიდან დაახლოებით 500 მეტრის დაშორებით, იყო ადგილი, რომელიც ყოველ შაბათკვირას ახალგაზრდების საასპარეზოს წარმოადგენდა. იმართებოდა ფეხბურთი, ჭიდაობა, რბენა...

უცებ, ეს ადგილი უფროსებს დასჭირდათ და ისიც უცერემონიოდ „კონფისკაციაში“ მოჰყვა. არავინ დაფიქრებულა იმაზე, თუ რა სამსახურს უწევდა ეს თვითნაკეთი სტადიონი სოფლის სპორტსმენებს, რა სარგებლობა მოჰქონდა მას.

არ დაფიქრებულა ის, ვისაც არ უყვარს სპორტი. ჩვენ კი ასე ვფიქრობთ: ვისაც არ უყვარს სპორტი, არ უყვარს ახალგაზრდობაც...

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

გათამაშების ცხრილები

დუბლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 29 ივნისისთვის

I ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (მოსკოვი)	15	8	3	4	22—16	19
„ჩერნომორეცი“ (ოდესა)	15	7	4	4	22—15	18
„დინამო“ (კიევი)	14	7	3	4	19—7	17
ცსკა	15	6	5	4	14—10	17
„ნეფტჩი“ (ბაქო)	15	4	8	3	19—14	16
„არარატი“ (ერევანი)	15	6	3	6	17—17	15
ასკ (როსტოვი)	15	5	3	7	13—21	13
„ზარია“ (ლუგანსკი)	15	4	4	7	15—26	12
„კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)	14	2	7	5	9—12	11
„ურალმაში“ (სვერდლოვსკი)	15	3	4	8	8—20	10

შენიშვნა: კიევის „დინამოსა“ და „კრილია სოვეტოვის“ დუბლიორთა მატჩი არ შემდგარა.

II ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„შახტიორი“ (დონეცკი)	15	11	1	3	22—10	23
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	15	6	6	3	14—11	18
„ტორპედო“ (ქუთაისი)	15	8	2	5	16—15	18
„დინამო“ (მინსკი)	15	5	7	3	16—11	17
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	15	5	6	4	16—18	16
„კაირატი“ (ალმა-ათა)	15	6	2	7	12—11	14
„ტორპედო“ (მოსკოვი)	15	4	6	5	14—16	14
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	15	3	6	6	17—21	12
„დინამო“ (თბილისი)	15	3	6	6	12—16	12
„პახტაკორი“ (ტაშკენტი)	15	1	2	12	7—22	4

ყოველი მხრიდან

კანონიერი შიში

ვარშავის გაზეთმა „ექსპრეს ვიეჩორნიმ“ გამოაქვეყნა მომავალი ოლიმპიური თამაშებისადმი მიძღვნილი სპეციალური მასალა. გაზეთი აკრიტიკებს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს, რომელსაც პოლონეთის დედაქალაქში ჰქონდა სხდომა. იგი აღნიშნავს, რომ ამ უდიდესი საერთაშორისო სპორტული ფორუმის წარმომადგენლებმა საჭირო ყურადღება არ გამოიჩინეს მრავალრიცხოვანი ფაქტების მიმართ, რაც შეშფოთებას იწვევს მიუნჰენის ოლიმპიადისთვის მზადებასთან დაკავშირებით. სოკ-ის პრეს-კონფერენციაზე კი ბევრმა ჟურნალისტმა აშკარად გააკრიტიკა დასავლეთგერმანელი მოღვაწეები იმის გამო, რომ მიუნჰენში გაჩაღებულია თავაშვებული ანტიოლიმპიური საქმიანობა.

ქვემოთ მოგვყავს ნაწყვეტი „ექსპრეს ვიეჩორნის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული წერილიდან.

„1966 წლის აპრილში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის კონგრესზე ქალაქ მიუნჰენის დელეგაციას სურდა 1972 წლის თამაშების მოწყობის უფლება მოეპოვებინა. მაშინ ამ ქალაქის წარმომადგენლებმა ბევრი ლამაზი სიტყვა დახარჯეს. ამბობდნენ, რომ ეს თამაშები ხელს შეუწყობდა ხალხთა შორის მეგობრობისა და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებას, კულტურისა და ხელოვნების განვითარებას. მაგრამ გავიდა სულ ცოტა დრო და ყველასთვის ცხადი გახდა, რომ სიტყვასა და საქმეს შუა დიდი ზღვარი იდო.

ახლა, როცა მიუნჰენს მიეცა თამაშების ჩატარების უფლება, ქალაქის ობერბურგომისტრი, დოქტორი ჰ.-ი. ფოგელი იძულებულია აღიაროს, რომ მიუნჰენის ტერიტორიაზე განლაგებულია შტაბ-ბინები 100-მდე რევანშისტული ორგანიზაციის, მილიტარისტული კლუბისა და სხვადასხვა „სათვისტომოსი“, რომლებიც სხვისი მიწის დაპყრობისკენ ილტვიან. მიუნჰენიდან სისტემატურად აწყობს დივერსიულ ანტისოციალისტურ გადაცემებს ჯაშუშთა რადიოსადგური „თავისუფალი ევროპა“. ქალაქში გამუდმებით ეწყობა ნეოფაშისტური შეკრებები. თუ დღეს ასეთი რევანშისტული მოქმედება დასაშვებად მიაჩნიათ, ვინაა თავდები, რომ მსგავსი რამ არ მოხდება 1972 წელს, ოლიმპიური თამაშების დროსაც?

ჩვენ კარგად გვახსოვს 1936 წელი. მაშინ ჰიტლერელები ცდილობდნენ ოლიმპიური თამაშები გამოეყენებინათ ხალხთა ბარბაროსული ჟლეტისთვის, მეორე მსოფლიო ომის მომზადებისთვის. და ახლა, როცა მიუნჰენში მილიტარიზმისა და რევანშიზმის სულისკვეთება მეფობს, ჩვენ უფლება გვაქვს შეშფოთება გამოვთქვათ ჩვენ გვსურს, რომ 1972 წლის ოლიმპიური თამაშები იყოს მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობის ნათელი დღესასწაული, ხალხთა მეგობრობისა და ურთიერთგაგების პროპაგანდა და არა პროპაგანდა შოვინისტური იდეისა, რაც შეიძლება ამ სიტყვებით გადმოიცეს: „გერმანია, გერმანია ყველაფერზე მაღლა“. ეს ფიქრი აწუხებს საერთაშორისო საზოგადოებრიობას დღეს, როცა აშკარაა, რომ ოლიმპიადისთვის მზადება მიუნჰენში ოლიმპიურ ატმოსფეროში არ წარმოებს“.

რალფი დადგა... სტარტზე

მთელი მსოფლიოს ჟურნალ-გაზეთებმა უკვე კარგა ხანია გვაუწყეს, რომ ცნობილმა ამერიკელმა ზანგმა მხტომელმა რალფ ბოსტონმა სპორტი დატოვა. მძლეოსნობის მოყვარულები შეურიგდნენ იმ აზრს, რომ ამიერიდან ველარასოდეს გაიგებდნენ რომის 1960 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის, ტოკიოს ვერცხლისა და მეხიკოს ბრინჯაოს პრიზიორის სპორტული მიღწევების ამბავს. მით უფრო სენსაციური იყო ცნობა, რომ რალფ ბოსტონმა მონაწილეობა მიიღო ამერიკის ქალაქ ვილანოვაში გამართულ შეჯიბრებაში.

საკითხავია, რამ აიძულა 30 წლის ბოსტონი გადაწყვეტილება შეეცვალა?

ამ შეკითხვას პასუხი გასცა თავად სპორტსმენმა:

„ვილანოვას შეჯიბრება არ არის მძლეოსანთა ჩვეულებრივი შეხვედრა, რომელსაც მხოლოდ ვიწრო სპორტული მნიშვნელობა აქვს. ესაა პოლიტიკური აქტი, რომელშიც სიამაყით მიიღებდა მონაწილეობას ყოველი პატიოსანი შავკანიანი ამერიკელი სპორტსმენი.

ვილანოვას ასპარეზობა ეძღვნება ცნობილ ზანგ მოღვაწეს, ლატაკთა ბელადს და ამერიკის ფერადკანიანი მოსახლეობის უფლებათა დამცველს მარტინ ლუთერ კინგს, რომელიც რასისტების ხელით დაიღუპა. ამ შეჯიბრებაში გამოსვლაზე დავთანხმდი, რადგან მსურდა მეთქვა: მე მუდამ ვივლი ჩემი ხალხის წარმომადგენლებთან ერთად, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების ზანგთა უფლებების დასაცავად ბრძოლაში არც ძალას იშურებენ, არც სიცოცხლეს. დაე, ჩემი სპორტული დიდება იყოს ჩემი ხელმოწერა ამ მოთხოვნებზე:

— ძირს რასობრივი დისკრიმინაცია! ამერიკა იყოს დედა და არა დედინაცვალი ზანგებისთვის!“

დავსძენთ, რომ „დოქტორ მარტინ ლუთერ კინგის ხსოვნისადმი მიძღვნილ პირველ თამაშებში“ მონაწილეობა მიიღო ათობით გამოჩენილმა ზანგმა სპორტსმენმა. მათ შორის იყვნენ ოლიმპიური ჩემპიონები ევანსი და სმითი, თარჯრბენის შესანიშნავი ოსტატი დავენპორტი და სხვ.

ჯიმ ჰეინსი ეჯიბრება... ცხენს

ეს სპექტაკლი ამ დღეებში იხილა მაიამის მოსახლეობამ. კაცმა რომ თქვას, ორგანიზატორებმა ზუსტად არ იცოდნენ, რა ეწოდებინათ მისთვის. აფიშები ამ შეჯიბრებას ხან „კაცისა და ცხენის დოღს“ არქმევდნენ, ხან „კაცისა და ცხენის რბენას“. მართლაც, სარბენ ბილიკზე ჯერ კაცი გამოვიდა, შემდეგ ცხენი გამოიყვანეს. რადიოთი გადმოსცეს, რომ ცხენი „ბიზნესმენი“ არაბული სისხლის კვიცია, სპორტსმენი კი ცნობილი მძლეოსანი ჯიმ ჰეინსი, ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელი 100 მეტრზე რბენაში. გაისმა სასტარტო გასროლა. ცხენი და კაცი ადგილს მოსწყდნენ.

წინ იყო 220 იარდი. მაყურებლის ველურ ღრიალში ფინიშთან პირველი მიიჭრა კაცი, რომელმაც მიაღწია საუცხოო შედეგს — 20.2 წამს. კვიცი დაახლოებით 30 იარდით ჩამორჩა. რა გვეთქმის, გამარჯვებაა, რა თქმა უნდა. მაგრამ საამაყოა თუ არა ასეთი პირველობა? რამ მიიყვანა ცნობილი სპორტსმენი იქამდე, რომ ცხენთან ერთად ერბინა?

ოლიმპიური მედალი რომ მიიღო, ჰეინსმა გადაწყვიტა მისი დახმარებით მოეპოვებინა ფულიცა და კარიერაც. მან აირჩია ფეხბურთელთა კლუბი „მაიამი“ და პროფესიონალი ფეხბურთელი გახდა. ჰეინსს თავიდან საკმაო ფული ჰქონდა, მაგრამ შემდეგ მაყურებელი აღარ აქცევდა ყურადღებას იმ კაცის ოლიმპიურ დიდებას, რომელიც სხვა ფეხბურთელებთან ერთად დაჰქროდა მინდორზე, ჩხუბობდა და იგინებოდა. ჰეინსს უკვე ნაკლებს უხდიდნენ. ამიტომ გადაწყვიტა მან ცხენთან შეჯიბრება. რას იზამ, ბიზნესის გულისთვის შეიძლება „ბიზნესმენთან“ ერთად სირბილიც დაგჭირდეს.

ევროპული რინგის ოლიმპიური საზრუნავი

ბუქარესტში დამთავრდა მოკრივეთა XVIII ევროპული ჩემპიონატი. ეს იყო დიდი სენსაციების და მოულოდნელობათა ტურნირი, ტურნირი უჩვეულოდ ძნელი და დაძაბული. როგორც ფიქრობდნენ, კონტინენტის ჩემპიონატი, რომელიც ოლიმპიადის შემდგომ წელს ჩატარდა, ეროვნული ფედერაციების რეზერვის დათვალიერება და მიუნჰენის რინგის მომავალი ბევრი მოხაწილის ბედის ცდა იყო. ჩემპიონატის წინ სპეციალისტები წინასწარმეტყველებდნენ ბუქარესტის რინგზე მძლავრ, უშეღავათო ბრძოლას, ამასთან, კრივის კლასის ერთგვარ დაქვეითებას ბევრი გუნდის გაახალგაზრდავების გამო. გამართლდა ამ ვარაუდის მხოლოდ პირველი ნაწილი: ყოველ შეხვედრაში გამარჯვებისთვის ბრძოლა ძალიან მძაფრი იყო, მაგრამ ახალგაზრდა მოკრივეთა უმრავლესობა ბრძოლებისთვის არც ისე ცუდად მომზადებულა, როგორც წინასწარმეტყველებდნენ. ბევრმა ვეტერანმა ფარ-ხმალი დაყარა მასზე უფრო ტექნიკურად და ტაქტიკურად მომზადებულ ახალგაზრდა მოკრივესთან. ევროპის ოთხ ახალ ჩემპიონს წლეულს შეუსრულდება 20 წელი. ესენი არიან: უნგრელი დ. გედო (48 კგ), მისი თანამემამულე ლ. ორბანი (57 კგ), რუმინელები ა. დუმიტრესკუ (54 კგ) და კ. კუცოვი (60 კგ). ოქროს მედლებისთვის ბრძოლის გზაზე მათ იმდენი გამოცდილი კონკურენტი შეხვდათ, რომ წარმატება არ შეიძლება ავხსნათ მხოლოდ ახალგაზრდობით ან იღბლიანობით. ეს იმას მოწმობს, რომ მომავალი ოლიმპიადისთვის მწვრთნელებს სერიოზული საზრუნავი აქვთ და მიუნჰენში ევროპული ქვეყნების გუნდებს ეყოლებათ ძლიერი და თანაბარი შემადგენლობა.

ოლიმპიური სუნთქვა იგრძნობოდა იმითაც, რომ ბუქარესტის რინგზე გამოჩნდნენ ძლიერი, ყოველ შემთხვევაში, პერსპექტიული მოკრივეები იმ ქვეყნებიდან, რომლებიც აქამდე არ ითვლებოდნენ „კრივის სახელმწიფოებად“. ლიდერებს სერიოზული კონკურენცია გაუწიეს ინგლისელმა სპორტსმენებმა. მხოლოდ გადამწყვეტ ორთაბრძოლებში იწვნიეს მარცხის სიმწარე საბერძნეთის წარმომადგენლებმა. მტკიცედ იბრძოდნენ გამარჯვებისთვის სკანდინაველები. ამ ქვეყნების სპორტსმენები ჯერჯერობით არ არიან ჩემპიონატის პრიზიორთა სიაში, მაგრამ მათი ოლიმპიური განაცხადი ძალიან სერიოზულია.

როგორია ტურნირის წმინდა სპორტული შედეგები? გუნდური გამარჯვება მოიპოვეს რუმინელმა მოკრივეებმა. სსრ კავშირის ეროვნული ნაკრები II ადგილზე დარჩა. თუ ამ ფაქტს საბჭოთა ნაკრების უფროსი მწვრთნელის ა. კისელიოვის საუბარს დავუპირისპირებთ ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტთან ჩემპიონატის დაწყების წინ, ალისფერ მაისურებიანი მოკრივეების გამოსვლა წარუმატებელი მოგეჩვენებათ. საბჭოთა მოკრივეები ბუქარესტში მიემგზავრებოდნენ მტკიცე გადაწყვეტილებით დაებრუნებინათ ევროპის კონტინენტის უძლიერესი გუნდის სახელი, მაგრამ ვერ შეძლეს ეს. მწვრთნელის შეხედულება დაფუძნებული იყო სსრ კავშირის ნაკრებისა და მისი მეტოქეების შესაძლებლობათა ანალიზზე. სამწუხაროდ, მან ვერ იწინასწარმეტყველა ზოგიერთი ამბავი, რამაც ჩემპიონატის ბევრ შეხვედრაზე იმოქმედა. სახელდობრ ლაპარაკია მიკერძოებულ მსაჯობაზე, რამაც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და სპეციალისტების დიდი გაკვირვება გამოიწვია.

არაობიექტური მსაჯების წყალობით საბჭოთა გუნდმა ორი დანაკლისი განიცადა: მეოთხედფინალში უმნიშვნელო ტრავმისთვის რინგიდან მოიხსნა ოლიმპიური ჩემპიონი ვ. სოკოლოვი, რომელიც უკვე მეორე დღეს კარგად გრძნობდა თავს. რუმინელ კუცოვთან ნახევარფინალურ შეხვედრაში ანგარიშით 3:2 დამარცხება მიაკუთვნეს ს. ლომაკინს, რომელსაც ჰქონდა შანსი ასულიყო კვარცხლბეკის ყველაზე მაღალ საფეხურზე.

ასეთ რთულ სიტუაციაში საბჭოთა მოკრივეებმა რუმინეთის გუნდი წინ გაუშვეს მხოლოდ და მხოლოდ ქულანახევრის უპირატესობით. ასე რომ, სერიოზული განაწყენების საბაბი, ჩემი აზრით, არ უნდა გვქონდეს.

ამასთან, ფასი არ უნდა დავაკლოთ რინგის მასპინძლების — რუმინელი ოსტატების გამარჯვებას. მათ მეხიკოს ოლიმპიადის წინ გააახალგაზრდავეს თავიანთი გუნდი, გაბედულად შეიყვანეს მასში იუნიორები და გამოსცადეს ისინი ოლიმპიურ რინგზე. რუმინელმა მოკრივეებმა დიდად აიმაღლეს ტექნიკა, შეინარჩუნეს მათთვის დამახასიათებელი გამძლეობა და ტემპერამენტი. რუმინეთის გუნდის ახალი შემადგენლობა შეიძლება არც მიუნჰენისთვის შეიცვალოს.

ჩემპიონატის ყველაზე დიდი სენსაცია იყო პოლონელ მოკრივეთა მარცხი. პოლონეთის სპორტსმენებმა, რომლებმაც კრივს მისცეს ისეთი სახელგანთქმული ოსტატები, როგორიც არიან კულეი, ვალასეკი, გრუძენი, პეტშიკოვსკი და სხვები, 20 წლის მანძილზე პირველად ვერ შეძლეს ევროპის ჩემპიონატის კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე ზევით ასვლა. პოლონელებს უმტყუნა სისუსტემ რეზერვისა, რომელიც მოვიდა რინგიდან წასული ჩემპიონების ნაცვლად. გუნდურ ჩათვლაში მათ გაუსწრეს ბულგარელმა მოკრივეებმა, რომელთა შემადგენლობაში ბევრი გამოცდილი, საუკეთესო ფორმაში მყოფი ოსტატია.

ვუბრუნდებით რა საბჭოთა მოკრივეთა ოლიმპიურ პრობლემას, უნდა ვაღიაროთ, რომ უძლიერესი მოკრივეების მიუნჰენისთვის მზადების კურსი სწორადაა აღებული, ოღონდ საჭიროა გავიხსენოთ წინა წლების გაკვეთილები, როცა ოქროს მედლების ბრწყინვალებაში ვერ ვამჩნევდით ჩრდილოვან მხარეებს, როცა ვეყრდნობოდით ჩემპიონთა სახელის მაგიურ ძალას და ეროვნული გუნდების ხელმძღვანელები ივიწყებდნენ, რომ ყოველ ჩემპიონს ადრე თუ გვიან შემცვლელი სჭირდება.

ნ. ლეონოვი.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: სსრ კავშირის მოკრივეთა ნაკრები გუნდი (მარცხნიდან) — პირველ რიგში: ნ. ლი (მწვრთნელი), ვ. ფროლოვი, ა. სემიონოვი, ი. კულაგინი, ნ. ნოვიკოვი, ს. ლომაკინი, ა. კისელიოვი (უფროსი მწვრთნელი); მეორე რიგში — ვ. ტარასენკოვი (უკან), ვ. სოკოლოვი, ვ. ტრეგუბოვი, ა. ვასიუშკინი, ვ. მუსალიმოვი, დ. პოზნიაკი.

ფოტო ვ. შანდრინისა (საკდესი).

იქნება ახალი ჩემპიონი

ფრენბურთელთა საკავშირო ჩემპიონატი მომავალ თვეში მთავრდება, მაგრამ ახლავე შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ჩემპიონი ახალი იქნება. მთავარ ტიტულზე პრეტენზიას აცხადებს ორი გუნდი — ალმა-ათის „ბურევესტნიკი“ და ცსკა. უკეთეს მდგომარეობაშია ვიცე-ჩემპიონი — ყაზახეთის ფრენბურთელთა კოლექტივი. მას 28 ქულა და 4 ჩასატარებელი შეხვედრა აქვს — რიგასა და როსტოვში. საკმარისია ორი მატჩის მოგება და ალმაათელები ოქროს მედლებს გაინაღდებენ. სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონს — ცსკა-ს 27 ქულა და 2 შეხვედრა აქვს.

თუ „ბურევესტნიკი“ სამ მატჩში დამარცხდა, არმიელებმა კი ორი გამარჯვება მოიპოვეს და ორივე გუნდმა თანაბარი ქულები დააგროვა, დებულების თანახმად, ჩატარდება ხელახალი შეხვედრა ნეიტრალურ მოედანზე.

ოქროს ჯილდოს მოპოვების მხოლოდ თეორიული შანსი აქვს რიგის „რადიოტექნიკს“. მის ანგარიშზეა 26 ქულა და 2 ჩასატარებელი მატჩი. გადათამაშებას რომ მიაღწიოს, ამ გუნდმა აუცილებლად უნდა მოიგოს ორი მატჩი, „ბურევესტნიკი“ ოთხჯერ უნდა დამარცხდეს, ცსკა — ერთხელ მაინც.

აუტსაიდერთა შორის, რომელთაგან ერთ-ერთი დატოვებს უმაღლეს ლიგას (XII ადგილი), მეორე (XI) კი დამატებით გამოცდას გაივლის, არიან როსტოველი არმიელები და დედაქალაქის ორი გუნდი — „დინამო“ და „ბურევესტნიკი“. როსტოველებს აქვთ 14 ქულა და 4 შინ ჩასატარებელი შეხვედრა. ასეთივე მდგომარეობაში არიან დინამოელები. 1 ქულით მეტი მოაგროვეს სტუდენტებმა. მაგრამ მოსკოვის გუნდებს მარაგში მხოლოდ 2-2 მატჩი აქვთ. (საკდესი).

ახალი ამბები

● ლონდონი, 27 ივნისი. უიმბლდონის ტურნირის მესამე დღე საბჭოთა ჩოგბურთელებისთვის უიღბლო გამოდგა. ბინდის გამო წინადღით თ. ლეიუსის გადადებული შეხვედრა ზ. ფრანულოვიჩთან (იუგოსლავია), რომლის ბოლო პარტიაში სსრ კავშირის ჩემპიონი იყო დაწინაურებული (7:6), იუგოსლავიელის გამარჯვებით დამთავრდა. ამ თამაშის საბოლოო ანგარიშია 7:5, 6:8, 6:3, 7:5, 10:8. თბილისელი ა. მეტრეველი მწვავე ბრძოლაში დამარცხდა მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს პროფესიონალ ჩოგბურთელთან ა. ხიმენოსთან (ესპანეთი) — 3:6, 6:3, 1:6, 6:3, 3:6. მოსკოველმა მ. ჩუვირინამ წააგო ამერიკელ კ. პეჯენთან — 2:6, 2:6. პირველივე შეხვედრების შემდეგ ბრძოლას გამოეთიშა საბჭოთა ვაჟების ორივე დუეტი: ბაქოელმა ს. ლიხაჩოვმა და მეტრეველმა მარცხი იწვნიეს ფრანგებთან დ. კონტესთან და ფ. ჟოფრესთან მატჩში (3:6, 4:6, 7:9), ხოლო მოსკოველმა ვ. კოროტკოვმა და ლეიუსმა — ფრანგ ჟ.-კ. ბარკლაისთან და ინგლისელ რ. უილსონთან ჭიდილში — 1:6, 6:3, 4:6, 3:6. მხოლოდ მოსკოველმა ო. მოროზოვამ მიაღწია წარმატებას: მეორე წრის მატჩში სძლია პოლანდიელ ტ. ზვაანს — 6:3, 6:4.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 8 უე 04203